ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523088001
თარიღი:29/03/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 27.03.2023 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, თეონა ადეიშვილი, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ილია დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ტარიელ ბარამიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაფასების, საინვენტარიზაციო უწყისის განსაზღვრისა და ჩამოწერის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

მომხს: გელა ვარდოსანიძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაფასების, საინვენტარიზაციო უწყისის განსაზღვრისა და ჩამოწერის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაფასება და ჩამოწერა.

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ტერიტორიული პრინციპით დაჯგუფების მიზნით, განისაზღვროს ტერიტორიული ნომენკლატურა N1 დანართით განსაზღვრული რედაქციით.

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დანიშნულებითი პრინციპით დაჯგუფების მიზნით, განისაზღვროს დანიშნულებითი ნომენკლატურა N2 დანართით განსაზღვრული რედაქციით.

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულება განისაზღვროს N3 დანართის შესაბამისად და დამტკიცებული იქნას საინვენტარიზაციო ბაზად.

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განახლებული საბალანსო ღირებულება სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული 2022 წლის 31 დეკემბრიდან და აღნიშნული ღირებულების გათვალისწინებით აისახოს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. დაზიანებული და შემდგომში გამოსაყენებლად უვარგისი ინვენტარი ჩამოიწეროს ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან N4 დანართით განსაზღვრული რედაქციით და მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს ჩამოწერილი ინვენტარის აუქციონის წესით რეალიზაციაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაფასების, საინვენტარიზაციო უწყისის განსაზღვრისა და ჩამოწერის თაობაზე“;

განკარგულება N გ-65.65230862

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია იმ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება რომლების ჯერ კიდევ ნომრის და სახელი გარეშეა, რაც უნდა მოხდეს არაბული ციფრების გამოყენებით და სიტუაციური რუკების შესაბამისად. განკარგულების მიღების შემდეგ 10 დღის ვადაში ის გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირებისათვის.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

განკარგულება: N გ-65.65230863

საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა ნატო დვალმა.

ნატო დვალი: „მოგახსენებთ, რომ ისრითის საჯარო სკოლაში გამოცხდდა ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე. მე, როგორც ამ სოფელში მცხოვრებმა ექიმმა, მივიღე მონაწილეობა კონკურსში. პირველ ეტაპზე უარი მითხრეს, რადგან მეკავა საკრებულოში ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. დავწერე განცხადება, გავთავისუფლდი ამ თანამდებიდან და მივიღე ისევ კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობა. ამჯერადაც უარი მეთქვა იმ მიზეზით, რომ ვერ შევძლებდი

შემოთავაზებული გრაფიკით მუშაობას (10.00 -16.00 მდე); მე ვუთხარი ამიყვანეთ და თუ ვერ დავაკმაყოფილებ მოთხოვნებს, გამათავისუფლეთქო. მოგახსენებთ ასევე რომ სხვა კანდიდატი არ არის კონკურენტი. ისევ უარი მითხრეს. მე ვფიქრობ ,რომ როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მბლოკავს ადგილობრივი ხელისუფლება“.

საკრებულოს წევრებიდან სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა თეონა ადეიშვილმა.

თეონა ადეიშვილი: „ქალბატონო ნატო! მე როგორც სკოლის დირექტორი არ აგიყვანდით სამსახურში იქედან გამომდინარე, რომ ხართ დასაქმებული სხვა სამსახურში და, ჩემი აზრით, მართლა ვერ შეძლებთ აღნიშნული გრაფიკით მუშაობას“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ნატო დვალს დაპირდა, რომ პირადად გაეცნობა და შეისწავლის ამ საკითხს.

საკრებულოს წევრმა ნატო დვალმა მადლობა გადაუხადა ალექსანდრე ლილუაშვილს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი